ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

OFFICE OF INDEPENDENT INSPECTOR

საქმიანობის სტატისტიკური ანგარიში

2023 წლის
მეორე კვარტალი

თბილისი
2023

სარჩევი

შესავალი 3
1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია 4
2. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური საჩივრის 5
ავტორთა შესახებ 5
3. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად 6
4. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად 7
5. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად 8
6. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომების შესახებ 9
7. სტატისტიკური ინფორმაცია გადაცდომის სახეებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად 9
7.1. საპროცესო ვადის დარღვევა 10
7.2. მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით 10
7.3. მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს 11
7.4. სხვა გადაცდომის სახეები 11
8. დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების სტატისტიკა 12
9. სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნების შესახებ 13

შესავალი

წინამდებარე კვარტალური ანგარიში მოიცავს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას 2023 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით.

დოკუმენტში წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავებულია საჩივრის ავტორთა, საქმეთა კატეგორიების, სასამართლო ინსტანციების, დისციპლინური გადაცდომებისა და მომზადებული დასკვნების შესაბამისად.

1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა 2023 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით განსახილველად მიიღო 65 დისციპლინური საჩივარი.

საანგარიშო პერიოდში ფორმის დაუცველად შემოსულია 26 წერილი. რის შემდეგაც საჩივრის ავტორებს გაეგზავნათ საჩივრის ფორმა და შევსების დეტალური ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მიზნით საჩივარი უნდა წარმოედგინათ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.



დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ საჩივრების შესწავლის მიზნით, გაიგზავნა 204 წერილი და გამოთხოვილია წინასწარი მოკვლევისათვის საჭირო შესაბამისი ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში, ცხელ ხაზზე შემოვიდა 40-მდე ზარი. ყველა მათგანს დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურებთან დაკავშირებით გაეწია შესაბამისი კონსულტაცია.

2. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური საჩივრის ავტორთა შესახებ

საჩივრის ავტორთა შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში მითითებული ჩამონათვალის გათვალისწინებით და სასამართლოში მიმდინარე საქმეებში მათი სტატუსის შესაბამისად.[1]

2023 წლის მეორე კვარტალში საჩივრის ავტორთა უმრავლესობას წარმოადგენენ სასამართლოში მიმდინარე დავის მხარეები. მათმა საერთო რაოდენობამ საჩივრის ავტორთა 60% შეადგინა. წარმომადგენელთა მიერ შემოტანილი საჩივრების რაოდენობის მაჩვენებელი 35%-ია, ხოლო, დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი საჩივრები 5%.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში დისციპლინური სამართალწარმოება არ დაწყებულა საგამოძიებო ორგანოების შეტყობინების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული, აგრეთვე, სახალხო დამცველის წინადადებაში ან/და ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თუ მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.



[1] საჩივრის ავტორებს წარმოადგენენ: მხარეები, წარმომადგენლები (კანონიერი წარმომადგენლები, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, ადვოკატები), დაინტერესებული პირები (საქმეში მონაწილე მხარის ოჯახის წევრი, სხდომაზე დამსწრე ან ნებისმიერი სხვა პირი), სახალხო დამცველი. ასევე, დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციისა და მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.

3. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

2023 წლის მეორე კვარტალში შემოსული საჩივრების უმრავლესობა სამოქალაქო სამართლის საქმეებს შეეხება და მათი პროცენტული მაჩვენებელი 53%-ს შეადგენს, ადმინისტრაციული სამართლის საქმეებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა 28%-ია, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პროცესში მოსამართლეთა მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე საჩივრების 19%-ია წარმოდგენილი.[2]



[2] საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი ერთი საჩივარი არ შეესაბამებოდა საქმეთა კატეგორიებს, ამდენად საქმეთა კატეგორიების ცხრილში ასახული არ არის.

4. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად

საქმეთა განზოგადების შედეგად დადგინდა, რომ 2023 წლის მეორე კვარტალში საჩივრების 85% პირველი ინსტანციის მოსამართლეებს შეეხებოდა, მეორე ინსტანციის მოსამართლეთა მიმართ საჩივრების 13%, ხოლო მესამე ინსტანციის მოსამართლეთა მიმართ საჩივრების 2% იყო წარმოდგენილი.



5. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად

საანგარიშო პერიოდში წინასწარი მოკვლევისათვის წარმოებაში არსებული 65 საჩივარი 72 მოსამართლეს შეეხებოდა.[3] მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა სასამართლო ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად შემდეგნაირად ნაწილდება:



შემოსული საჩივრების მაჩვენებლისა და აღნიშნულ საჩივრებში მოსამართლეთა შესახებ მონაცემების გაანალიზების შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ შემოსული საჩივრების 30% პირველი ინსტანციის სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეებს შეეხება. ამავე ინსტანციის ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა 22%-ს შეადგენს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საჩივრების 14%-ია წარმოდგენილი.

რაც შეეხება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს, საჩივრების 10% აღნიშნული ინსტანციის ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ იყო წარმოდგენილი. ხოლო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლეების მიმართ საჩივრების 9-9% იყო წარმოდგენილი.

ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საჩივრების 3-3% იყო წარმოდგენილი. სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საანგარიშო პერიოდში საჩივარი არ ყოფილა წარმოდგენილი.

[3] აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მოსამართლე განიხილავს სამი ან ორი კატეგორიის საქმეს. ამასთან, ზოგიერთი მოსამართლის მიმართ წარმოდგენილია რამდენიმე საჩივარი. შესაბამისად, განსხვავდება მოსამართლეთა რაოდენობა შემოსული საჩივრებისა თუ კატეგორიებში მოსამართლეთა რაოდენობისგან.

6. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი ითვალისწინებს 21 სხვადასხვა სახის დისციპლინურ გადაცდომას. საანგარიშო პერიოდში საჩივრები მხოლოდ 11 სხვადასხვა ქვეპუნქტში ასახულ ქმედებას შეეხებოდა. მათი უმრავლესობა საპროცესო ვადის დარღვევასა და პირადი ინტერესით სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებაზეა წარმოდგენილი.

ამასთან, მხოლოდ კანონიერება სადავოდ იყო გამხდარი 14 საჩივარში, ხოლო 4 საჩივარში კანონიერებასთან ერთად საჩივრის ავტორები დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებზეც უთითებდნენ.

34	• მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა
16	• მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით
8	• მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს
8	• მოსამართლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული უფლებამოსილების, კერძოდ, სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება
6	• მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა
3	• მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი
2	• მოსამართლის მიერ პირადი და ინტენსიური (მეგობრული, ოჯახური) ურთიერთობის დამყარება უშუალოდ მის მიერ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილესთან, რაც იწვევს მოსამართლის მიკერძოებას ან/და პროცესის მონაწილისთვის უპირატესობის მინიჭებას, თუ მას ჰქონდა ინფორმაცია მხარის შესახებ
1	• მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით
1	• სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძვლით
1	• მოსამართლის მიერ ამ კანონის 72[1] მუხლის პირველი პუნქტის ან 72[2] მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა
1	• სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ სასამართლო პროცესის სხვა მონაწილის მიმართ სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედების მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია

7. სტატისტიკური ინფორმაცია გადაცდომის სახეებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

მნიშვნელოვანია ცალკე გამოვყოთ ინფორმაცია, წარმოდგენილ საჩივრებში, ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების მიხედვით რომელი გადაცდომის სახე ჭარბობს. წინამდებარე თავში წარმოდგენილია 65 დისციპლინურ საჩივარში მითითებული გადაცდომის სახეების ანალიზი და სტატისტიკა.[4]

7.1. საპროცესო ვადის დარღვევა

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტზე წინასწარი მოკვლევა მიმდინარეობდა 34 საჩივრის საფუძველზე.

საჩივრები ძირითადად შეეხებოდა სამოქალაქო სამართლის საქმეებს, რომლებსაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები განიხილავდნენ.

7.2. მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით

მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი გახდა 16 საჩივარში. აღნიშნული საჩივრების უმეტესობა შეეხებოდა რაიონულ/საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების წარმოებაში არსებულ საქმეებს.

საჩივრები წარმოდგენილი იყო სამივე კატეგორიის საქმეებზე.

[4] რიგ საჩივრებთან მიმართებით, საქმეთა კატეგორიებისა და ინსტანციების რაოდენობა განსხვავებულია შესაბამისი გადაცდომის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობისგან, რადგან 1 საჩივარი შეიძლება ერთი კატეგორიის 2 ინსტანციის მოსამართლის მიმართ იყოს წარმოდგენილი ან პირიქით.

7.3. მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს

დისციპლინური გადაცდომის სახე - მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს მსჯელობის საგანი გახდა 8 საჩივარში.

აღნიშნული საჩივრები პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს შეეხებოდათ.

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად			ინსტანციების შესაბამისად		
სამოქალაქო სამართლის **საქმე - 4**	ადმინისტრაციული სამართლის **საქმე - 2**	სისხლის სამართლის **საქმე - 2**	პირველი ინსტანცი - **7 საჩივარი**	მეორე ინსტანცია - **1 საჩივარი**	მესამე ინსტანცია - **0 საჩივარი**

7.4. სხვა გადაცდომის სახეები

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობდა 23 საჩივარზე, რომელიც შეეხებოდა 8 სხვადასხვა სავარაუდო გადაცდომას - სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელის მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების 8 ფაქტს, მოსამართლის მიერ უპატივცემულობის გამოხატვის - 6 ფაქტს, მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმის - 3 ფაქტს, მოსამართლის მიერ უშუალოდ მის მიერ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილესთან პირადი და ინტენსიური (მეგობრული, ოჯახური) ურთიერთობის დამყარების - 2 ფაქტს, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედების, კომუნიკაციის წესის დარღვევის, დისკრიმინაციული ქმედების მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვების და მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ზეგავლენის მოხდენის მიზნით ჩარევის 1-1 ფაქტს.[5]

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად			ინსტანციების შესაბამისად		
სამოქალაქო სამართლის **საქმე - 13**	ადმინისტრაციული სამართლის **საქმე - 6**	სისხლის სამართლის **საქმე - 4**	პირველი ინსტანცია - **19 საჩივარი**	მეორე ინსტანცია - **3 საჩივარი**	მესამე ინსტანცია - **2 საჩივარი**

[5] რიგ საჩივრებთან მიმართებით, საქმეთა კატეგორიებისა და ინსტანციების რაოდენობა განსხვავებულია შესაბამისი გადაცდომის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობისგან, რადგან 1 საჩივარი შეიძლება ერთი კატეგორიის 2 ინსტანციის მოსამართლის მიმართ იყოს წარმოდგენილი ან პირიქით.

8. დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა 22 საჩივრის საფუძველზე მიიღო დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის 28 გადაწყვეტილება.[6] მათ შორის:

- ✓ 17 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან საჩივარი მხოლოდ მოსამართლეთა მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას შეეხებოდა;
- ✓ 5 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ;
- ✓ 3 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ვინაიდან საჩივარი წარმოდგენილი იყო დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის დადგენილი ვადის დარღვევით.
- ✓ 2 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ვინაიდან არსებობდა დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება;
- ✓ 1 გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის გამო დისციპლინური საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

კანონიერების შემოწმების შეუძლებლობის საფუძვლით სრულად შეწყვეტილი 17 დისციპლინური სამართალწარმოება შეეხებოდა:

საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

- სამოქალაქო სამართლის განმხილველი - **9 მოსამართლე**
- ადმინისტრაციული სამართლის განმხილველი - **3 მოსამართლე**
- სისხლის სამართლის განმხილველი - **2 მოსამართლე**
- არცერთი კატეგორიის საქმე - **3 მოსამართლე**

ინსტანციების შესაბამისად

- პირველი ინსტანციის - **8 მოსამართლე**
- მეორე ინსტანციის - **5 მოსამართლე**
- მესამე ინსტანციის - **4 მოსამართლე**

[6] გადაწყვეტილებები მიღებულია ინდივიდუალური მოსამართლეების მიმართ. შესაბამისად, საჩივრების რაოდენობა განსხვავებულია მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობისგან. ასევე, განსხვავებულია კატეგორიების შესაბამისად მოსამართლეთა რაოდენობა მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობისგან.

9. სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნების შესახებ

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადდა 51 დასკვნა[7] 47 მოსამართლის მიმართ,[8] მათ შორის, წინასწარი შემოწმებისათვის კანონით დადგენილი 1 თვიანი ვადა 2 კვირით გაგრძელდა 6 საჩივარზე.

- ✓ ვადის დარღვევის შესაძლო ჩადენის - 47 ფაქტს;
- ✓ პირადი ინტერესით სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების - 18 ფაქტს;
- ✓ უპატივცემულობის გამოხატვის - 6 ფაქტს;
- ✓ მოსამართლის სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედების - 5 ფაქტს;
- ✓ სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელის მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების - 4 ფაქტს;
- ✓ აცილებაზე უარის თქმის - 3 ფაქტს;
  - – სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვების - 1 ფაქტს;
  - – მოსამართლის მიერ უშუალოდ მის მიერ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილესთან პირადი და ინტენსიური (მეგობრული, ოჯახური) ურთიერთობის დამყარების - 1 ფატს;
  - – მოსამართლის მიერ კომუნიკაციის წესის დარღვევის, მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ზეგავლენის მოხდენის მიზნით ჩარევის - 1 ფაქტს;
  - – სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედების - 1 ფაქტს.[9]

დამცველის დახმარების უფლებითა და დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია, ისევე როგორც თვითაცილების უფლება დამოუკიდებელ ინსპექტორს არ გამოუყენებია.

---

[7] საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი 11 საჩივარი იყო იდენტური შინაარსის ამდენად, აღნიშნული საჩივრები გაერთიანდა და მომზადდა 1 დასკვნა.

[8] საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი 1 საჩივარი არ შეესაბამება დისციპლინური გადაცდომის სახეებს, ამდენად, დისციპლინური გადაცდომის სახეების რაოდენობაში აღნიშნული საჩივარი არ არის ასახული.

[9] რიგ საჩივრებთან მიმართებით, საქმეთა კატეგორიებისა და ინსტანციების რაოდენობა განსხვავებულია შესაბამისი გადაცდომის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობისგან, რადგან 1 საჩივარი შეიძლება ერთი კატეგორიის 2 ინსტანციის მოსამართლის მიმართ იყოს წარმოდგენილი ან პირიქით. ამასთან, საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი ერთი საჩივარი არ შეესაბამებოდა საქმეთა კატეგორიას.